# თავი 6

## ბუღალტრული ინფორმაციის დამუშავების სისტემები – ტესტები

1. ადგილს, სადაც რეგისტრირდება ერთგვაროვანი ინფორმაციები ერთგვაროვანი სამეურნეო ოპერაციების შესახებ, ეწოდება:
   ა) სამეურნეო ოპერაცია;
   ბ) საბუღალტრო ანგარიში;
   გ) პირველადი დოკუმენტი.

2. ამოარჩიეთ არასწორი მსჯელობა:
   საწარმომ ბანკიდან აიღო მოკლევადიანი სესხი. ეს სამეურნეო ოპერაცია ორადი ჩაწერის სისტემის საფუძველზე აისახება შემდეგნაირად:
   ა) გაიზრდება აქტივი და გაიზრდება ვალდებულება;
   ბ) დაკრედიტდება ფულის ანგარიში და დადებეტდება ვალდებულების ანგარიში;
   გ) დადებეტდება ფულის ანგარიში და დაკრედიტდება ვალდებულების ანგარიში.

3. საბუღალტრო ანგარიშის ბრუნვა ეწოდება:
   ა) ანგარიშის დებეტის (ან კრედიტის) მხარის ჩანაწერების ჯამს საწყისი ნაშთის გარეშე;
   ბ) ანგარიშის დებეტის (ან კრედიტის) მხარის ყველა ჩანაწერის ჯამს, საწყისი ნაშთის ჩათვლით.
   გ) სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება სწორი აღმოჩნდეს ორივე ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი.

4. საბუღალტრო ანგარიშს შეიძლება ჰქონდეს:
   ა) როგორც დებეტის, ასევე კრედიტის ბრუნვა;
   ბ) აქტიურ ანგარიშებს - მხოლოდ დებეტის ბრუნვა, ხოლო პასიურ ანგარიშებს მხოლოდ კრედიტის ბრუნვა;
   გ) აქტიურ ანგარიშებს - მხოლოდ კრედიტის ბრუნვა, ხოლო პასიურ ანგარიშებს მხოლოდ დებეტის ბრუნვა.

5. პასიურ ანგარიშებზე ზრდა აისახება:
   ა) დებეტის მხარეს;
   ბ) კრედიტის მხარეს;
   გ) ორივე პასუხი სწორია.

6. პასიურ ანგარიშებზე შემცირება აისახება:
   ა) დებეტის მხარეს;
   ბ) კრედიტის მხარეს;
   გ) ორივე პასუხი სწორია.

7. აქტიური ანგარიშის დებეტის მხარეს გაკეთებული ჩანაწერი ნიშნავს:
   ა) შემცირებას;
   ბ) ზრდას;
   გ) გააჩნია, რომელ აქტიურ ანგარიშზე ვსაუბრობთ.

**8. თუკი ანგარიშის ნაშთი განისაზღვრება შემდეგნაირად: დებეტის საწყის ნაშთს ემატება დებეტის ბრუნვა და აკლდება კრედიტის ბრუნვა, მაშინ ამ ანგარიშს ეწოდება:**

ა) აქტიური;

ბ) პასიური;

გ) ტრანზიტული.

**9. თუკი ანგარიშის ნაშთი განისაზღვრება შემდეგნაირად: კრედიტის საწყის ნაშთს ემატება კრედიტის ბრუნვა და აკლდება დებეტის ბრუნვა, მაშინ ამ ანგარიშს ეწოდება:**

ა) აქტიური;

ბ) პასიური;

გ) მაკონტროლებელი.

**10. მუდმივი ანგარიშებია:**

ა) აქტივების ამსახველი ანგარიშები;

ბ) შემოსავლების ამსახველი ანგარიშები;

გ) ხარჯების ამსახველი ანგარიშები.

**11. დროებითი ანგარიშებია:**

ა) შემოსავლებისა და ხარჯების ამსახველ ანგარიშები;

ბ) ვალდებულების, კაპიტალისა და შემოსავლების ამსახველი ანგარიშები;

გ) აქტივებისა და ხარჯების ამსახველი ანგარიშები.

**12. აქტიური ანგარიშებია:**

ა) ვალდებულების, კაპიტალისა და შემოსავლების ამსახველი ანგარიშები;

ბ) პასივებისა და შემოსავლების ამსახველი ანგარიშები;

გ) აქტივებისა და ხარჯების ამსახველი ანგარიშები.

**13. ვალდებულების ამსახველი ანგარიშები:**

ა) აქტიურია;

ბ) პასიურია;

გ) დროებითია.

**14. პერიოდის ბოლოს ნაშთი არ რჩება:**

ა) აქტიურ ანგარიშებს;

ბ) მუდმივ ანგარიშებს;

გ) დროებით ანგარიშებს.

**15. ამოარჩიეთ არასწორი მსჯელობა:**

ა) მარტივია გატარება, როცა ერთი და იგივე ოპერაცია ერთი და იგვე თანხით ჩაიწერება ერთი ანგარიშის დებეტში და ერთი ანგარიშის კრედიტში;

ბ) რთულია გატარება, როცა ერთი და იგივე ოპერაცია ერთი და იგვე თანხით ჩაიწერება ერთი ანგარიშის დებეტში და ერთი ანგარიშის კრედიტში;

გ) რთულია გატარება, როცა ერთი და იგივე სამეურნეო ოპერაცია ერთი და იგივე თანხით ჩაიწერება ერთი ანგარიშის დებეტში და რამდენიმე ანგარიშის კრედიტში ან პირიქით.

# ბუღალტრული ინფორმაციის დამუშავების სისტემები – ამოცანები

## ამოცანა №1

**დავალება:** მიუთითეთ (შემოხაზეთ) ქვემოთ ჩამოთვლილი ანგარიშების საბოლოო ნაშთები სადებეტოა თუ საკრედიტო. (დროებითი ანგარიშების დროს მიუთითეთ ბრუნვის მხარე).

| ანგარიშის ნომერი | დებეტი | კრედიტი |
|---|---|---|
| 1210 | დ | კ |
| 1220 | დ | კ |
| 1410 | დ | კ |
| 1610 | დ | კ |
| 2150 | დ | კ |
| 3120 | დ | კ |
| 5130 | დ | კ |
| 4190 | დ | კ |
| 6120 | დ | კ |
| 7110 | დ | კ |
| 9110 | დ | კ |
| 8220 | დ | კ |
| 7390 | დ | კ |
| 5430 | დ | კ |
| 8130 | დ | კ |
| 2510 | დ | კ |
| 1810 | დ | კ |
| 1415 | დ | კ |
| 3310 | დ | კ |
| 1310 | დ | კ |
| 1440 | დ | კ |
| 1510 | დ | კ |
| 1690 | დ | კ |
| 1720 | დ | კ |
| 2140 | დ | კ |
| 2250 | დ | კ |
| 2340 | დ | კ |
| 2410 | დ | კ |
| 2630 | დ | კ |
| 3150 | დ | კ |
| 3430 | დ | კ |

6110 დ კ

## ამოცანა №2

**დავალება:** ქვემოთ ჩამოთვლილ ანგარიშებს მიუწერეთ სრული დასახელება, აღნიშნეთ მათი ბალანსთან დამოკიდებულება და საბოლოო ნაშთების მხარე. (დროებითი ანგარიშების დროს მიუთითეთ საბოლოო ბრუნვის მხარე).

| ანგარიშის № | ანგარიშის დასახელება | ბალანსთან დამოკიდებულება | საბოლოო ნაშთი | |
|---|---|---|---|---|
| | | | სადებეტო | საკრედიტო |
| 1110 | ფული სალაროში | მუდმივი-აქტიური | + | |
| 1220 | | | | |
| 1290 | | | | |
| 1310 | | | | |
| 1410 | | | | |
| 1415 | | | | |
| 1480 | | | | |
| 1630 | | | | |
| 1720 | | | | |
| 1810 | | | | |
| 2130 | | | | |
| 2280 | | | | |
| 3110 | | | | |
| 3220 | | | | |
| 3340 | | | | |
| 4130 | | | | |
| 5120 | | | | |
| 6110 | | | | |
| 7140 | | | | |
| 7420 | | | | |

| 8110 | | | | |
|---|---|---|---|---|

## ამოცანა №3

ქვემოთ მოცემულია „ა“ საწარმოს მარტის თვის ოპერაციები.

**დავალება:** შეადგინეთ მარტივი საბუღალტრო გატარებები. მუშაობის დროს, თითოეული სამეურნეო ოპერაციისათვის, გაითვალისწინეთ შემდეგი მითითებები:

1. შეარჩიეთ ელემენტები, რომელზეც იმოქმედებს ოპერაცია;
2. შერჩეულ ელემენტებში დააზუსტეთ ჯგუფი, საიდანაც უნდა შეარჩიოთ ანგარიში;
3. შეარჩიეთ ჯგუფებიდან ანგარიშები, განსაზღვრეთ მათი ბუნება (აქტიურია თუ პასიური) და შეადგინეთ საბუღალტრო გატარება.

1) 05.03 – მომწოდებელი ორგანიზაციიდა (საწარმო “ბ”-დან) მიღებულია - 1.200 ლარის ღირებულების ნედლეული და მასალები. თანხა გადახდილი არ არის:

**მსჯელობის ნიმუში:**

ამ სამეურნეო ოპერაციით ერთი მხრივ იზრდება ელემენტი – **აქტივი**; ჯგუფი – **1600 “სასაქონლო მატერიალური მარაგი”**; ანგარიში – **1620 “ნედლეული და მასალები”** და რადგან ეს უკანასკნელი აქტიური ანგარიშია, შეიძლება ჩავწეროთ გატარების ერთი ნაწილი **დ. 1620 “ნედლეული და მასალები” – 1.200 ლარი.**

მეორე მხრივ, ორადი ჩაწერის პრინციპიდან გამომდინარე, იზრდება წყარო, ელემენტი – **ვალდებულებები**; ჯგუფი – **3100 “მოკლევადიანი ვალდებულებები”**; ანგარიში – **3110 “მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები”** და რადგან ეს უკანასკნელი პასიური ანგარიშია, შეიძლება ჩავწეროთ გატარების მეორე ნაწილი **კ. 3110 “მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები” – 1.200 ლარი** ანუ, ბუღალტრულ გატარებას ექნება შემდეგი სახე:

დ. 1620 “ნედლეული და მასალები” – 1.200 ლარი.

კ. 3110 “მოწოდ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები” – 1.200 ლარი

2) 08.03 – წინა მავალითში ნახსენებ საწარმო “ბ”-ს, საწარმო „ა“-ს საბანკო ანგარიშიდან გადაერიცხა მოწოდებული ნედლეულისა და მასალების ღირებულება - 1.200 ლარი:

დ.

კ.

3) 10.03 – საწარმოს საბანკო ანგარიშზე მიღებულია მოკლევადიანი სესხი – 2.000 ლარი:

დ.

კ.

4) 12.03 – საწარმოს საბანკო ანგარიშზე მიღებულია დებიტორისაგან (ანგ. 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“) – 3.000 ლარი:

დ.

კ.

5) 15.03 – შეძენილია საწარმოს ადმინისტრაციული შენობა (ძირითადი საშუალება) – 9.200 ლარად. ფული გადახდილია საბნკო ანგარიშიდან:

დ.

კ.

## ამოცანა №4

ქვემოთ მოცემულია „X“ საწარმოს აპრილის თვის ოპერაციები.

**დავალება:** შეადგინეთ მარტივი საბუღალტრო გატარებები. მუშაობის დროს, თითოეული სამეურნეო ოპერაციისათვის, გაითვალისწინეთ შემდეგი მითითებები:

1. შეარჩიეთ ელემენტები, რომელზეც იმოქმედებს ოპერაცია;
2. შერჩეულ ელემენტებში დააზუსტეთ ჯგუფები, საიდანაც უნდა შეარჩიოთ ანგარიში;
3. შეარჩიეთ ჯგუფებიდან ანგარიშები, განსაზღვრეთ მათი ბუნება (აქტიურია თუ პასიური) და შეადგინეთ საბუღალტრო გატარება.

1) <u>01.04</u> – შეძენილია საქონელი კრედიტში (ანუ წარმოიშვა ვალდებულება), რომლის ღირებულებაა – 8.000 ლარი:

დ.

კ.

2) <u>02.04</u> – მიღებულია სალაროში საბანკო ანგარიშიდან სამეურნეო ხარჯებისათვის – 500 ლარი. (**<u>შენიშვნა:</u>** ამ სამეურნეო ოპერაციით საწარმოს აქტივებში ხდება ცვლილება. საწარმოს ფულმა საბანკო ანგარიშიდან გადმოინაცვლა სალაროში:

დ.

კ.

3) <u>03.04</u> – გაცემულია სალაროდან დარიცხული ხელფასი (ვალდებულება) ადმინისტრაციულ პერსონალზე – 300 ლარი:

დ.

კ.

4) <u>07.04</u> – ავანსად გაცემულია სალაროდან ანგარიშ-ვალდებულ პირზე მივლინებისათვის – 200 ლარი: (**<u>შენიშვნა:</u>** ამ სამეურნეო ოპერაციით საწარმოდან გადის ფული, ერთის მხრივ **<u>მცირდება ელემენტი</u>** – **<u>აქტივი</u>**, მეორის მხრივ **<u>იზრდება ისევ ელემენტი</u>** – **<u>აქტივი</u>**, ანგ. <u>1790</u> **<u>„სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი“</u>**:

დ.

კ.

5) <u>08.04</u> – გასტუმრებულია სახელფასო ვალდებულება – 1.820 ლარი. ფული გაიცა სალაროდან სახელფასო უწყისის მიხედვით:

დ.

კ.

6) <u>10.04</u> – გასტუმრებულია მოკლევადიანი სესხი (სასესხო ვალდებულება) – 7.000 ლარი. ფული გადაირიცხა საბანკო ანგარიშიდან:

დ.

კ.

7) 12.04 – გასტუმრებულია კრედიტორებიდან მოწოდებული საქონლის ღირებულება – 8.000 ლარი. ფული გაიცა სალაროდან:

დ.

კ.

8) 15.04 – გადარიცხულია მოვების გადასახადი – 200 ლარი:

დ.

კ.

9) 16.04 – რეალიზებულია – 500 ლარის თვითღირებულების საქონელი – 800 ლარად. ფული ჩამოირიცხა საბანკო ანგარიშზე:

**შენიშვნა:** რეალიზებული **საქონლის** თვითღირებულების ხარჯის ასახვისთვის გამოიყენეთ ანგარიში - 7200:

დ.

კ.

დ.

კ.

10) 17.04 – ჩამოირიცხა ავანსი შემკვეთებისგან – 4.300 ლარი:

დ.

კ.

11) 20.04 – ავანსის სანაცვლოს მომხმარებელს მიეწოდა – 3.500 ლარის პროდუქცია - 4.300 ლარად:

**შენიშვნა:** რეალიზებული **პროდუქციის** თვითღირებულების ხარჯის ასახვისთვის გამოიყენეთ ანგარიში - 7100:

დ.

კ.

დ.

კ.